Universal Energy Corporation LTD

N29-08/01

29 აგვისტო, 2019 წელი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

როგორც მოგეხსენებათ, შპს „უნივერსალ ენერჯი ქორფორეიშნ“ (შემდგომში „კომპანია“) ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, მდინარე ნატანებზე დაგეგმილი აქვს ჰიდროელექტროსადგურის (ნატანები 3 ჰესი, საერთო დადგმული სიმძლავრით 9.085 მგვტ) მშენებლობის და მისი შემდგომი ექსპლუატაცია. აღნიშნული მიზნით 2019 წლის 26 ივლისს, სოფ. ვაკიჯვარში გაიმართა საჯარო განხილვა და კომპანიის მიერ წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის განხილვა.

აღნიშნულ შეხვედრაზე გამოთქმულ მოსაზრებებზე და ადგილობრივ მოსახლეობასთან აზრთა გაცვლის შემდგომ, კომპანიამ გასული თვის განმავლობაში აქტიურად იმუშავა ადგილობრივ მოსახლეობასთან და დეტალურად გააცნო განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობა როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ასევე ზოგადად ქვეყნის ეკონიმიკისთვის. აღსანიშნავია, რომ მოსახლეების აბსოლუტური უმრავლესობა პოზიტიურად არის განწყობილი წარდგენილი პროექტის განხორციელებასთან და მზად არის საჯარო განხილვაზე დამატებით მოისმინოს პროექტის შესახებ ინფორმაცია.

აღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ კანონით დადგენილ ვადებში, განმეორებით უზრუნველყოთ განმეორებითი სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა.

შპს „უნივერსალ ენერჯი ქორფორეიშნ“

ჰაიკ სარგსიანი

დირექტორი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 12392
29.08.2019
1 ფ.
02

შპს "უნისვერსალ ენერჯი კორპორეიშნ"
ქეთევან წამებულის გამზირი/ზოჭორმის ქუჩა N50/18,ბინა N7
ქ. თბილისი (ს/კ 406243630)